ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3494227

ნომერი: AR1527414

თარიღი : 28.07.2017

გაცემის თარიღი : 24.08.2017

გაცნობის თარიღი : 24.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერის , ავტოტექმომსახურეობის გვერდით;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარი თათულიშვილი პ/ნ 20001015990
- თელავი ვახუშტის ქ. N 1

ორგანიზაცია:

- ჯიდიჯგუფი კოდი: 431173268

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 იანვრის №3040747 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 28 ივლისის №AR1527414 განცხადებით მომართა მოქ. თამარი თათულიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 10 იანვრის №3040747 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 იანვრის №3040747 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ქუჩა პეტრე იბერის ,ავტოტექმომსახურეობის გვერდით, მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.10.06.001.203, მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მითითებულია 20782.85 კვ.მ ნაცვლად 21229.18 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად მითითებულია 1131.06 კვ.მ ნაცვლად 1158.55 კვ.მ, კომერციულ ფართობად მითითებულია 1477.78 კვ.მ ნაცვლად 1651.38 კვ.მ-სა, ავტოსადგომის ფართობად მითითებულია 5428.22 კვ.მ ნაცვლად 5853.65 კვ.მ-სა, საერთო ფართობად მითითებულია 32789.01 კვ.მ ნაცვლად 33801.35 კვ.მ-სა.

სამსახურმა 2017 წლის 28 ივლისის №AR1527414 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2017 წლის 10 იანვრის №3040747 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 10 იანვრის №3040747 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 იანვრის №3040747 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 21229.18 კვ.მ, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 1158.55 კვ.მ, კომერციულ ფართობად მიეთითოს 1651.38 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად მიეთითოს 5853.65 კვ.მ, საერთო ფართობად მიეთითოს 33801.35 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 იანვრის №3040747 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 იანვრის №3040747 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.